აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია
Students' Scientific Conference

"ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები"
"Actual Issues of European Integration"

თბილისი
21 აპრილი, 2018

ბუკლეტი შედგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის **"ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები"** ფარგლებში შერჩეული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების ანოტაციებით.

The collection is composed of the best scientific papers' abstracts selected at the Students' Scientific Conference **"Actual Issues of European Integration"** organized by the organizational department of the East European University.

სარედაქციო კოლეგია: პროფესორი შალვა მაჭავარიანი (მთავარი რედაქტორი), პროფესორი შალვა კვინიხიძე, ასოცირებული პროფესორი თამარ ზაალიშვილი, ასოცირებული პროფესორი გელა გრიგოლაშვილი, თათია ღერკენაშვილი (რედაქტორის მოადგილე).

Editorial Board: Prof. Shalva Machavariani (Editor-in-Chief), Prof. Shalva Kvinikhidze, Associate Prof. Tamar Zaalishvili, Associate Prof. Gela Grigalashvili, Tatia Gherkenashvili (Associate editor).

გამომცემელი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი გამომცემლობა

Publisher: East European University .

East European University

შინაარსი

რექტორის მიმართვა კონფერენციის მონაწილეებს 6

წინათქმა 7
სექცია: ''ბიზნესი და ეკონომიკა''

ზურაბ ქემაშვილი; სალომე ცომაია
საქართველოს მელიორაციაში ინოვაციური მორწყვის სისტემის
(წვეთოვანი) დანერგვა 8

სოფიო ლურსმანაშვილი
დაზღვევის როლი ქართულ საბანკო სივრცეში 10

თინათინ მამესწარაშვილი
გეოგრაფიული და ორგანული ნიშანდების ბიზნეს-შესაძლებლობები
(საქართვე-ლოს ევროინტეგრაციის მიმართულებით) 11

შორენა დავითაია
პირდაპირი უცხოური კაპიტალდაბანდებების მართვის თანამედროვე
გამოწვევები 12

თათია ღერკენაშვილი
საორგანიზაციო კულტურის ცვლილება 13

თეიმურაზ ალავიძე
ადმინისტრირების მიდგომის თანამედროვე მოდელი აგრობიზნესში
ინვესტი-ციების მოზიდვის მიზნით 14

დავით ვაჭარაძე
კორპორაციული მმართველობის მეთოდები მცირე და საშუალო
ბიზნესის განვითარებაში: ღვინის საწარმოების მაგალითზე 15

მიხეილ მაჩიტიძე
ინფორმაციული ნაკადების კლასიფიკაცია და ოპტიმიზაცია ორგანიზაციულ
სტრუქტურაში 16
სექცია: ''სამართალი''

ქეთევან ზაქარეიშვილი
მომხმარებელთა უფლებები, გამოწვევა ევროინტეგრაციის გზაზე 17

ზურაბ კახეთელიძე
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ფარული საგამოძიებო

მოქმედებები 18

ნიკა აბრამიშვილი

მსჯავრდებულთა შეფასება, საშიშროების რისკების შესაბამისად
პენიტენციურ სისტემაში 19

ანა ფერაძე
სპეციალური საშუალებების გამოყენება პენიტენციურ სისტემაში.....20

თამარ მსხვილიძე
უცხოური სამართლის ინტერპრეტაცია საერთაშორისო კერძო
სამართალში 21

ლელა მეტრეველი
ოჯახში ძალადობა და მისი სისხლისსამართლებირვი დაცვის მექანიზმები 22

სექცია: ''საერთაშორისო ურთიერთობები და განათლება''

რიტა ბოლქვაძე
მარადისის საჯარო სკოლის სტრატეგიული ანალიზი 23

რუსუდან ტოპეშაშვილი
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
სტრატეგიული განვითარების გეგმა 24

მაია კვენიაშვილი
სსიპ-მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანჯიგაზლოს საჯარო
სკოლის განვითარების სტრატეგიული ანალიზი 25

ეკატერინე ბენიაშვილი
განათლების ინტერნაციონალიზაციის გამოწვევები: აღმ.
საქართველოში გაცვლით პროგრამებზე სტუდენტების
ხელმისაწვდომობის კვლევა გენდერულ ჭრილში 26

შალვა ჩიკვილაძე
ბოშათა, როგორც ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემები და
გამოწვევები განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით საქართველოში 27

ვახტანგ ჟღენტი
DCFTA და საქართველო..... 28

დავით ჩერქეზიშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი

ძვირფასო კონფერენციის მონაწილეებო!

გულითადად გილოცავთ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში ,,ევროინტეგ-რაციის აქტუალური საკითხები" მონაწილეობის მიღებას. მიმდინარე პერიოდისათვის ჩვენი ქვეყნის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ევრო-ინტეგრაცია, რომელიც თავის მხრივ, არაერთ მიმართულებას მოიცავს. განსაკუთრებით გამოვყოფდი ეკონომიკის, სამართლისა და განათლების სფეროებს და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, ევროინტეგრაცია ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლების უმთავრეს პირობას წარმოადგენს.

მჯერა, რომ აღნიშნული კონფერენცია იქნება არა მარტო საინტერესო მისი მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით, არამედ თქვენ მიიღებთ იმ გამოცდილებას, რომელიც მოგცემთ საშუალებას მომავალში კიდევ უფრო განავითაროთ საკუთარი შესაძლებლობები. ჩვენ ველით თქვენგან სიახლეებსა და კრეატიულ იდეებს, რომლებიც ასე რიგ სჭირდება ჩვენს ქვეყანას ევროინტეგრაციისა და სწრაფი განვითარების გზაზე.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს კონფერენციაში აქტიური მონაწილეობისათვის, სარედაქციო კოლეგიას და სამეცნიერო დეპარტამენტს აღნიშნული კონფერენციის ორგანიზებისათვის.

გისურვებთ წარმატებებს!

შალვა მაჭავარიანი

პროფესორი,
ვიცე-რექტორი სამეცნიერო დარგში

წინათქმა

თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, კონკურენტუნარიანი, შემოქმედებითი პოტენციალის მქონე სპეციალისტის მომზადება მთლიანად არის დამოკიდებული უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ინტეგრირების ხარისხზე, პრაქტიკულ საჭიროებაზე მიმართულ კვლევებში სტუდენტების ფართო ჩართულობასა და სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, დისპუტები და ა.შ.) მათ ხშირ მონაწილეობაზე.

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომების ანოტაციების კრებულში წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და ბაკალავრიატის სტუდენტების მიერ პირველი სტუდენტური საუნივერსიტეტო კონფერენციისთვის შესრულებული კვლევების შედეგები.

ნაშრომები მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და განათლების სფეროს აქტუალურ საკითხებს.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პირველ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციზე წარმოდგენილი ნაშრომები შეფასდება შესაბამისი დარგების ცნობილი მეცნიერებისა და პრაქტიკოსი სპეციალისტების მიერ. მათი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება შემდგომ ეტაპზე შესასრულებელი კვლევების სრულყოფისათვის.

ვუსურვებ კონფერენციის მონაწილეებს წარმატებებს მათ შემოქმედებით საქმიანობაში.

საქართველოს მელიორაციაში ინოვაციური მორწყვის სისტემის (წვეთოვანი) დანერგვა

სალომე ცომაია, **ზურაბ ქემაშვილი**
მაგისტრანტი **მაგისტრანტი**
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - კვლევის მიზანია საქართველოს მელიორაციაში ინოვაციური მორწყვის სისტემის დანერგვის შეფასება და შეთავაზება, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებს შორის, წამყვანი როლი ენიჭება, ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიის ძირითად მიზნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მელიორაციის განვითარებას. მელიორაციის სექტორმა რეგიონალურ დონეზე და ქვეყნის მასშტაბით თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სურსათზე მოთხოვნილების, ადგილობრივი წარმოების პროდუქციით მაქსიმალურად დაკმაყოფილებაში და საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში, სოფლად ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში, ამისათვის კი აუცილებელია რწყვის ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავება და დანერგვა.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - აღნიშნული კვლევისთვის გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 450 ადამიანმა, გამოკითხულთა უმრავლესობის პრობლემას წარმოადგენს სარწყავი წყლის ნაკლებობა, რაც გამოწვეულია არსებული მორწყვის სისტემით, მიწის ნაკვეთისთვის წყლის მიწოდება ხორციელდება სარწყავი სისტემის მეშვეობით წყალგამშვები ფარებით და გამანაწილებელი არხებით, რაც იწვევს წყლის რესურსის დიდ დანაკარგს.

დასკვნები - შესრულებულმა ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ქვეყანაში არის მორწყვის სერიოზული პროებლემა, წვეთოვან მორწყვას კი გააჩნია ბევრი უპირატესობა სხვა დანარჩენ სისტემებთან შედარებით. უპირველესი უპირატესობაა წყლის დანახარჯის შემცირება.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - გამოკითხულთა უმრავლესობისთვის მორწყვის ტექნოლოგიები ნაკლებად მნიშვნელოვანია, მათი მთავარი მოთხოვნაა მიიღონ წყალი საჭირო რაოდენობით და მინიმალური დანახარჯით, ხოლო როგორი სისტემით და ტექნოლოგიით მოხდება ეს, მათ ინტერესს არ იწვევს.

სიახლე/ღირებულება - ირიგაციის ეს მეთოდი მორწყვის ტრადიციულ წესზე ბევრად მომგებიანია, ვინაიდან წვეთოვანი მორწყვის წესი მნიშვნელოვნად ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს და აუმჯობესებს მის ხარისხს, რადგან, სარწყავი წყალი დოზირებულად მიეწოდება მცენარეს და გამორიცხავს წყლის სიჭარბისგან მიყენებულ სტრესს, წვეთოვანი მორწყვა საშუალებას იძლევა, მოირწყას რთული რელიეფები, გაკეთდეს მნიშვნელოვანი ეკონომია სასუქებზე, წყლის დანახარჯებზე, შემცირდეს ხარჯი მცენარეთა დაცვის საშუალებებზე, რადგან იგი მნიშვნელოვნად ამცირებს სხვადასხვა დაავადებების განვითარების რისკს რიგ კულტურებში და ა.შ.



დაზღვევის როლი ქართულ საბანკო სივრცეში

სოფიო ლურსმანაშვილი
მაგისტრანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - კვლევის მიზანია გამოარკვიოს კავშირი სადაზღვევო კომპანიებსა და ბანკებს შორის, ასევე, საზღვარგარეთული გამოცდილებასა და სადაზღვევო ბიზნესში დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის შესწავლა. მთავარ ამოცანად დასახულია, ეროვნულ ბაზარზე არსებული პრობლემების განხილვა.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - იმისათვის, რომ მიღწეულიყო მიზანი და გვესაუბრა იმ ინსტრუმენტებზე, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მოქნილი, მომხმარებელზე ორიენტირებული და მოგების მაქსიმიზირებისაკენ მიმართული სადაზღვევო ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება, აუცილებელი წინაპირობა იყო სადაზღვევო საქმის, როგორც სამეცნიერო დარგის სრულყოფილი წარმოჩინება. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გამოკვლევები სადაზღვევო ბაზრის აქტუალურ პრობლემებზე, ეკონომიკური რეფორმების სამთავრობო კონცეფციები და პროგრამები, დაზღვევის სფეროში მიღებული საკანონმდებლო აქტები, სადაზღვევო ბიზნესთან დაკავშირებული მსოფლიო მეცნიერული მიღწევები და პრაქტიკული გამოცდილება.

დასკვნა - საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის პასუხისმგებლობის დაზღვევის ნებაყოფლობითი ხასიათი, რის გამოც ბაზრის წილი მინიმალურია.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები) გავლენა - კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნები, მოცემულია პრობლემათა გადაჭრის ალტერნატიული გზები. ნაშრომის ძირითადი დებულებებითა და დასკვნებით სარგებლობა შეუძლიათ დაზღვევის, ფინანსებისა და ეკონომიკური სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლებს.

სიახლე/ღირებულება - ეს პირველი სტატიაა, რომელიც განიხილავს სადაზღვევო კომპანიის შერწყმას საბანკო პროდუქტებთან ბაზარზე დამკვიდრებიდან დღემდე.

გეოგრაფიული და ორგანული ნიშანდების ბიზნეს-შე-საძლებლობები (საქართველოს ევროინტეგრაციის მიმარ-თულებით)

თინათინ მამესწარაშვილი
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიის მიზანია ცხადყოს ბიომეურნეობების განვითარებისა და გეოგრაფიული ნიშანდების პროდუქტის წარმოების ზრდის მნიშვნელობა საქართველოს ევროინტეგრაციაში. გაერომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მეთოდს შორის დაასახელა მდგრადი განვითარება, რაც გულისხმობს მწვანე ეკონომიკისა და მათ შორის, ბიომეურნეობების, ასევე ეკოსოფლების განვითარებას. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ქართული სოფლის განვითარებაზეა საუბარი, ორიენტაცია უნდა ავიღოთ ეკოლოგიური, მდგრადი განვითარების პრინციპებით განვითარებაზე. ქვეყანა, რომელიც მდიდარია კლიმატური პირობებით, ნიადაგის ნაყოფიერებით, მაღალი გემოვნური თვისებების მქონე პროდუქციის წარმოების პოტენციალით, აუცილებლად უნდა დაადგეს ორგანული პროდუქციის შექმნის და ამ მიმართულებით ეკონომიკის გაძლიერების გზას. ევროკავშირის ბაზარზე მოთხოვნა ორგანულ პროდუქტზე დღითიდღე იზრდება. ამასთან, აუცილებელია შეიქმნას გეოგრაფიული აღნიშვნები ქართული, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციისთვის და უმოკლეს დროში ვიზრუნოთ მათ ექსპორტზე ევროკავშირში, ეს რა თქმა უნდა დააჩქარებს და ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროინტეგრაციას. მისასალმებელია, რომ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი და ქვეყანაში ბიოაგროწარმოების გასავითარებლად გამოყო მეტი ფინანსური რესურსი. ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაარსდა მარკეტინგის საბჭო, რომლის მიზნებია: გეოგრაფიული აღნიშვნების სქემების განვითარება, პროდუქტის ბრენდინგი, ხარისხის ნიშნებისა და სტანდა¬რტების შემოღება, მარკეტინგის საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა და მათი დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმების სრულყოფა.

პირდაპირი უცხოური კაპიტალდაბანდებების მართვის თანამედროვე გამოწვევები

შორენა დავითაია
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

გლობალიზაციის პირობებში მეტად აქტუალური ხდება განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში საინვესტიციო გარემოს რეალური შეფასება და მართვა. ინსტიტუციონალური ინვესტორები განსაკუთრებულ მოგებას ელიან ახალ ათასწლეულში. მათგან ბევრს არა აქვს ცოდნა სამეცნიერო მოდელირების სფეროში, როგორიცაა თანამედროვე პორტფოლიოს თეორია, ფიქსირებული კაპიტალის შეფასების მოდელი და სხვა მიდგომები ფინანსური აქტივების ინვესტიციების მართვაში, განსაკუთრებით ადგილობრივი რეგულაციების საზღვრებში. აქედან გამომდინარე ისინი განურჩევლად რისკის ქვეშ აყენებენ კაპიტალდაბანდებებს, სუბიექტურად იღებენ გადაწყვეტილებებს.

  აღნიშნულ კვლევაში შესწავლილია განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნის ტიპიური კონკურენტული და არაკონკურენტული 44 კომპანია, ნიგერიის მაგალითზე.

კვლევაში გამოყენებული ჰიპოტეზების ტესტირებამ გვიჩვენა, რომ ფირმების მიდგომა საინვესტიციო პორტფოლიოს შერჩევის მიმართ ერთნაირია უმეტესობის შემთხვევაში. ინვესტიციიის განხორციელება თავისთვად დაკავშირებულია რისკებთან, საინვესტიციო რისკი იგულისხმება როგორც თანდაყოლილი პროცესი. პორტფოლიოს ერთგვაროვნება შეიძლება “ცუდად” აისახოს ინვესტიციების ამონაგებზე.

კვლევიდან გამომდინარე რეკომენდაცია გაწეულია კორპორატიული ინვესტიციების მართვის პროცესებზე უწყებების და სტანდარტების მიხედვით. ორგანიზაციის მმართველების მიმართულების ცვლილება ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად მეცნიერული საშუალებების გამოყენებით მიიღება, როგორიცაა ინტეგრალური წარმოდგენა პორტფოლიოს მართვის სტრატეგიული მოდელის გამოყენებით.

მოცემულ ნაშრომში განხილული სტრატეგიული მოდელი გადმოტანილია საქართველოს მაგალითზე.



საორგანიზაციო კულტურის ცვლილება

თათია ღერკენაშვილი
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

რთულად პროგნოზირებად გარემოში კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად ორგანიზაციებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს მაქსიმალურად განივითარონ საკუთარი შესაძლებლობები, რათა შეძლონ ბაზარზე არსებულ ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება და მათზე მორგება. ეს ყოველივე კი საორგანიზაციო კულტურის ცვლილებითაა მიღწევადი.

თითქმის ყველა ორგანიზაციას აქვს დომინანტი საორგანიზაციო კულტურა, რომლის ობიექტური და გამჭვირვალე შეფასება სხვადასხვა ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი. კონკრეტული სახის კულტურის ფორმირება გარკვეული ღირებულებებით, შეხედულებებითა და პრიორიტეტებით ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ძლევს გამოწვევებს და ერგება არსებულ ცვლილებებს. მსგავსი დომინანტური კულტურა ხელს უწყობს ორგანიზაციას შეინარჩუნოს მდგრადობა, სტაბილურობა და იყოს ადაპტირებული სწრაფად ცვალებად გარემოსთან.

საორგანიზაციო კულტურის ცვლილების განხორციელების პრობლემა მის ამორფულობასა და ბუნდოვანებაშია. რთულია სამიზნის არჩევა და კულტურის ცვლილების დაწყების პროცესი. კულტურა ორგანიზაციაში ხშირად ყოვლისმომცველია და რთულია მისი სპეციფიცირება და შეფასება.

ნაშრომში განხილულია საორგანიზაციო კულტურის ცვლილების მნიშვნელობა, მის განსახორციელებლად საჭირო საყოველთაოდ მიღებული ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ორგანიზაციაში არსებული საორგანიზაციო კულტურის შეფასებისთვის, მისთვის სასურველი სამომავლო კულტურის განსაზღვრისთვისა და სტრატეგიული ლიდერობის აქტივობების გამოვლენისთვის, რომლებიც ხელს შეუწყობს კულტურის წარმატებით ცვლილებას.

ადმინისტრირების მიდგომის თანამედროვე მოდელი აგრო-ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით

თეიმურაზ ალავიძე
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - კვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ რა ადმინისტრაციული მიდგომები არსებობს საქართველოს აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვის მხრივ, ადმინისტრირების ახალი თანამედროვე მოდელების და მიდგომების კვლევა, რაც ხელს შეუწყობს აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვას, აგრეთვე აგრარული სექტორის ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დადგენა.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა/ - აღნიშნულ კვლევაში კვლევის საინფორმაციო ბაზად გამოყენებული იქნება:
– გაეროს (UNCTAD -World Investment Report), 1996-2017 წლების მონაცემები;
– მსოფლიო ბანკის მონაცემები;
– საქართველოს სტატისტიკის სამსახურისა და ეროვნული ბანკის მონაცემები და სხვ.

დასკვნები - მმართველობითი სახის მეთოდოლოგიის წარმოდგენა აგრარულ სექტორში არსებული ვითარების გასაუბჯობებებლად.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზი) გავლენა - უმთავრესი სისუსტე კვლევის სუბიექტურ შეფასებაში მდგომარეობს. მეორე შეზღუდვა კი არის, რომ არსებულმა ფაქტორებმა შესაძლოა შეაფერხოს შედეგების განზოგადება. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ გამოკითხულთაგან ძირითადი ნაწილი რეგიონებიდანაა, რაც ქმნის დამატებით სირთულეს მასალის დროული მიღება-დამუშავებისთვის.

სიახლე/ღირებულება - ეს პირველი ნაშრომია, რომლიც განიხილავს ადმინისტრირების მიდგომის თანამედროვე მოდელს აგრობიზნესში ინვესტიციების მოსაზიდად. გამოყენებული ლიტერატურა იხილავს კვლევებს 1996 წლიდან 2017 წლამდე და ქმნის სპეციფიურ და კონკრეტულ წინაპირობებს სამომავლო კვლევებისათვის.

კორპორაციული მმართველობის მეთოდები მცირე და საშუალო ბიზნესის გასანვითარებლად: ღვინის საწარმოების მაგალითზე

დავით ვაჭარაძე
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობითი მოდელის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და ორიენტირებული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შესრულებული კვლევის შედეგად გამოვლენილი უმთავრესი პრობლემების გადაჭრაზე. კერძოდ: სწრაფად ცვალებად ფინანსურ და სამართლებრივ გარემოში საწარმოო პროცესების წარმართვა და მათი მდგრად განვითარებაზე ორიენტირება, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, გარე და შიდა ინვესტიციების მოზიდვას ბიზნესში და ა.შ.. საამისოდ დასაძლევია ისეთი პრობლემები, როგორიცაა პერსონალის არასაკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, ინოვაციების ნაკლებობა, დაფინასების სიმცირე და ა.შ.,

სტრუქტურა და მეთოდოლოგი - ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მეთოდები. სოციოლოგიური კვლევის მეშვეობით მოხდება საკითხის შესწავლა-ანალიზი და შეფასება, რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით კი, სტატისტიკური მასალის დამუშავება. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდების, ემპირიული განზოგადების და შედარების ანალიზის მეთოდებით განხორციელდება ღვინის საწარმოების საოპერაციო საქმიანობის გამოკვლევა.

დასკვნები - შეთავაზებული მოდელით წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა ქართული რეალობის გათვალისწინებით.

კვლევის შეზღუდვები - კვლევის შედეგების დანერეგვა და ობიექტზე დაკვირვება რთული პროცესია, რაც აბრკოლებს მიღებული შედეგების გაზომვას. რთულია აგრეთვე შედეგების ეფექტიანომის ზუსტი შეფასება ორგანიზაციების საქმიანობაზე.

სიახლე/ღირებულება - დღევანდელ ქართულ რეალობაში არ არსებობს შემუშავებული მოდელი, ან კონკრეტული რეკომენდაციები მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. შეთავაზებული მოდელი ორიენტირებული იქნება გარე გამოწვევებზე დროულ რეაგირებასა და ადაპტირებაზე
სწრაფად ცვალებად გარემოსთან, რაც წარმოადგენს სიახლესა და
ღირებულებას მცირე ბიზნესის გასანვითარებლად.

კომუნიკაციური ნაკადები და მათი როლი ინფორმაციის გადაცემის პროცესში ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით

მიხეილ მაჩიტიძე
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ აზრს, ცოდნას, გამოცდილებას, თავიანთი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს შესახებ. ეს ყველაფერი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ინფორმაცია, ხოლო თვითონ კომუნიკაცია - როგორც ინფორმაციის გაცვლის პროცესი. ვინაიდან ინფორმაციის გაცვლის პროცესი აუცილებელია ნებისმიერ ორგანიზაციაში, კომუნიკაციას ხშირად უწოდებენ თანამედროვე მართვის სისტემების მთავარ დამაკავშირებელ რგოლს. ნებისმიერი მმართველის მთავარი ინსტრუმენტი არის ინფორმაცია, რომელსაც ის ფლობს. მისი საშუალებით იგი ორგანიზებულად მართავს თავის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციულ სტრუქტურებს, ასევე ამაღლებს მოტივაციას თავის თანამშრომლებს შორის. მენეჯერმა ინფორმაციის გადაცემისას, უნდა გამოიყენოს ისეთი კომუნიკაციის არხები, რომ ინფორმაცია მარტივად აღწევდეს ადრესატამდე და იყოს ადვილი აღსათქმელი. თუ კომპანიაში არ არსებობს კომუნიკაციის დალაგებული სისტემა, შეუძლებელია ამ კომპანიის თანამშრომლებმა გუნდური სამუშაო შეასრულონ და მიაღწიონ დასახულ მიზნებს.

კომუნიკაციის პროცესში შესაძლებელია გაჩნდეს ხარვეზები, რომელიც დაამახინჯებს ინფორმაციას, გადაცემის დროს. ასეთი პრობლემები ახდენენ უარყოფით გავლენას, როგორც კომუნიკაციის პროცესზე, ასევე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაზე ან გაცემული ბრძანების შესრულებაზე.

კომუნიკაცია იძლევა საშუალებას მივიღოთ დროული გადაწყვეტილება, უზრუნველყოთ ეფექტური უკუკავშირი, განვახორციელოთ კომპანიის მიზნების ცვლილება და შევიტანოთ კორექტირება სამოქმედო პროცედურებში არსებული სიტუაციის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მენეჯერებს და შემსრულებლებსაც უნდა ჰქონდეთ გათვიცნობიერებული ინფორმაციის გადაცემის ძირითადი ცნებები და მათი გამოყენების გზები.

სტატიის მიზანია წარმოაჩინოს თუ რამდენად აუცილებელია ეფექტური კომუნიკაციური პროცესი ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, მისი ტექნოლოგიების ოპტიმიზაცია და განვითარება კომპანიებში. სტატიაში ჩამოყალიბებულია კომუნიკაციის არსი, მისი როლი ორგანიზაციის განვითარებაში, და ეფექტური კომუნიკაციის პროცესის მართვა ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით.

მომხმარებელთა უფლებები, გამოწვევა ევროინტეგრაციის გზაზე

ქეთევან ზაქარეიშვილი
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - გამოიკვეთოს მომხმარებელთა ადგილი კერძო სამართლის სისტემაში, სადაც ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია თუ რამდენად უზრუნველყოფს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი დებულებები მომხმარებელთა უფლებების დაცვას ან პირიქით, ხომ არ წარმოადგენს ეს უკანასკნელი საფრთხეს იმის ფონზე, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს მთელი რიგი ვალდებულებები, აღნიშნული სფეროს რეგულირებისთვის.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია - გაანალიზებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი დებულებები, ამ უკანასკნელზე ევროდირექტივებისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების გავლენა და პარლამენტში ინიცირებული კანონის პროექტის პერსპექტივები.

დასკვნა - საკანონმდებლო ბაზის სიმწირესთან ერთად, არ არსებობს აღსრულების ეფექტური მექანიზმი.

კვლევის შეზღუდვა - სასამართლო პრაქტიკის სიმწირე, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კონტექსტში მომხამრებელთა უფლებების შესახებ.
ღირებულება - გაანალიზებულია საკანონმდებლო სივრცესა და პრაქტიკაში არსებული მთავარი პრობლემები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ფარული საგამ-ოძიებო მოქმედებები

ზურაბ კახეთელიძე
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - კვლევის მიზანია ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ურთიერთმიმართების შესწავლა, კავშირის მიმოხილვა და სამართლებრივი დაცვის გარანტიების ანალიზი, კანონმდებლობაში მათი ურთიერთქმედების ძირითადი ასპექტების გამოკვეთა, პრობლემების დიფერენციაცია და მათი გადაჭრისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - კვლევა ეყრდნობა ისტორიულ, ანალიტიკურ, შედარებით სამართლებრივ და სხვა სამეცნიერო მეთოდიკას. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, სამართლებრივი აქტები და დამუშავებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

დასკვნები - ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის უმნიშვნელოვანესი, თუმცა არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება შეიზღუდოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და სხვა ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით რამდენიმე თეორიული და პრაქტიკული პრობლემა წარმოიშვა, რომლებიც ხელს უშლის კონსტიტუციით განმტკიცებული უფლებების დაცვას. ამდენად, მნიშვნელოვანია მათი დროულად აღმოფხვრა.

სიახლე/ღირებულება - პრობლემის აქტუალურობამ სისხლის სამართლის პროცესში გააჩინა არა მხოლოდ ახალი მარეგულირებელი ნორმები, არამედ ამ უფლების დაცვის დამოუკიდებელი სუბიექტი, როგორიცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. ფარული საგამოძიებო მოქმედების ზედამხედველობის, კონტროლისა და ინსპექტორების თავისებურებანი კვლავ იძლევა საფუძველს სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებებისათვის.

მსჯავრდებულთა შეფასება, საშიშროების რისკების შესაბამისად პენიტენციურ სისტემაში

ნიკა აბრამიშვილი
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - კვლევი მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორ ხდება პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა დაყოფა საშიშროების რისკების შესაბამისად, აგრეთვე, რას ემსახურება მსჯავრდებულთა დაყოფა საშიშროების რისკების შესაბამისად და რა უფლებრივი მდგომარეობა აქვთ თითოეული რისკის მსჯავრდებულს.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - აღნიშნულ კვლევაში ყურადღება გამახვილდა მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის თითოეულ სახეზე. თემაში საკანონმდებლო რეგულაციის მიმოხილვასთან ერთად წარმოდგენილია პრაქტიკული ასპექტებიც. მოცემული საკითხის კვლევისას გამოყენებული იქნა შედარებით-სამართლებრივი, ინდუქციური, ასევე ანალიტიკური კვლევის მეთოდები.

დასკვნები - ანალიზმა წარმოაჩინა, რომ მსჯავრდებულთა დაყოფა საშიშროების რისკების შესაბამისად, ხდება პენიტენციური სისტემაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით. გამომდინარე იქედან, რომ მსჯავრდებულთა საშიშროების რისკი მიბმულია მის უფლებრივ მდგომარეობასთან, მსჯავრდებულებს საშიშროების რისკის შეცვლის მოტივაცია გაეზარდათ.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა რისკებად დაყოფა ნოვაციაა და ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას. პენიტენციური სისტემა გარდამავალ ეტაპზე იმყოფება და სრულად არ გადასულა რისკების სისტემაზე, ჯერ კიდევ არსებობს პენიტენციური დაწესებულებების დაყოფა **ტიპების** შესაბამისად.

სიახლე/ღირებულება - ეს არის პირველი სტატია, რომელიც განიხილავს პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა საშიშროების რისკებად დაყოფის საკითხებს. სტატიის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა იხილავს თემებს, რომელიც მოიცავს, როგორც თეორიულ საკითხებს, ისე პრაქტიკულ ასპექტებს, მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდთან ურთიერთთანამშრომლობის მჭიდრო საფუძველზე.

სპეციალური საშუალებების გამოყენება პენიტენციურ სისტემაში

ანა ფერაძე
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - კვლევი მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორ ხდება პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალური საშუალებების გამოყენება. შეისწავლოს სპეციალური საშუალებების თითოეული სახე და დაადგინოს მათი გამოყენების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - აღნიშნულ კვლევაში ყურადღება გამახვილდა სპეციალურ საშუალებათა თითოეულ სახეზე. თემაში საკანონმდებლო რეგულაციის მიმოხილვასთან ერთად წარმოდგენილია პრაქტიკული ასპექტებიც. მოცემული საკითხის კვლევისას გამოყენებული იქნა შედარებით-სამართლებრივი, ინდუქციური, ასევე ანალიტიკური კვლევის მეთოდები.

დასკვნები - ანალიზმა წარმოაჩინა, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები ძირითადად შეესაბამება ევროპის სტანდარტებს, თუმცა საჭიროა გარკვეული საკითხების ევროპულ სტანდარტებთან მისადაგება.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - კვლევის სისუსტე გახლავთ ის, რომ პენიტენციურ სისტემაში არსებული სპეციალური საშუალებების სამართლებრივი შედარება სხვა შიდაუწყებრივ სტრუქტურების უსაფრთხოების ღონისძიებებთან (მათ შორის სპეციალურ საშუალებებთან) შეუძლებელია, მისი არარსებობის გამო.

სიახლე/ღირებულება - ეს არის პირველი სტატია, რომელიც განიხილავს პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალურ საშუალებათა გამოყენების საკითხებს. სტატიის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა იხილავს თემებს, რომელიც მოიცავს, როგორც თეორიულ საკითხებს, ისე პრაქტიკულ ასპექტებს, პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგებისა და გამოკითხვები საფუძველზე.
უცხოური სამართლის ინტერპრეტაცია საერთაშორისო

უცხოური სამართლის ინტერპრეტაცია საერთაშორისო კერძო სამართალში

თამარ მსხვილიძე
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

შესავალი და მიზანი: თანამედროვე პირობებში ღია საზოგადოებად ჩამოყალიბებამ მკვეთრად გაზარდა უცხოური ელემენტის შემცველი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების რიცხვი. საერთაშორისო კერძო სამართალი რთულ, სპეციფიკურ ურთიერთობებს აწესრიგებს, რომლის დროსაც სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები უპირისპირდებიან ერთმანეთს. უცხოური სამართლის დადგენას პრაქტიკული სიძნელეები ახლავს, რადგან მოსამართლემ უნდა გამოიყენოს არა უბრალოდ უცხოური კანონები, არამედ გაითვალისწინოს სასამართლო პრაქტიკა და ინტერპრეტაცია, რომლითაც ის გამოიყენება უცხო ქვეყანაში.

უცხოური სამართლის არსის დადგენის წესი არსებითად განსხვავდება იმისგან, თუ როგორ ადგენს სასამართლო თავის ეროვნულ სამართალს, რომელთან მიმართებით მოქმედებს პრინციპი: სასამართლომ იცის კანონი - iura novit curia. რაც შეეხება უცხოურ ნორმას, მოსამართლეს არ შეუძლია და არც მოეთხოვება მისი ცოდნა იმ დონეზე, რომ გადაწყვიტოს დავა.

მეთოდოლოგია: შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდება სფეროს წამყვანი ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა და თეორიული კონცეფციები.

სიახლე/ღირებულება: ქართულ სამართლებრივ სივრცეში სულ უფრო ხშირდება ისეთი ხელშეკრულებების დადება, რომელიც მხოლოდ ქართული სამართლით აღარ რეგულირდება, იკვეთება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებსა და კანონებთან კონტაქტის დამყარების შემთხვევები. შესაბამისად, აქტიურდება საკითხი, როგორ მოწესრიგდეს ურთიერთობა, რომელიც ეკონომიკური განვითარების ფონზე ეფექტიანად უპასუხებს ქართველ და უცხოელ სუბიექტთა მოთხოვნებს. თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მასში განხილული საკითხები ჯერ არ გამხდარა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სპეციალური კვლევის საგანი.

დასკვნა: საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი მიზანი ეფექტურად განხორციელდება, თუ გამოსაყენებელი უცხოური სამართალი ადეკვატურად დამტკიცდება. უცხო სამართლის სწორი და ეფექტური განსაზღვრება განიხილება კოლიზიური ნორმის გამოყენების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად.

ოჯახში ძალადობა და მისი სისხლისსამართლებირვი დაცვის მექანიზმები

ლელა მეტრეველი
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - კვლევის მიზანია ფართოდ გაშუქდეს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' არსებული სამართლებრივი პრობლემები და მისი შესაძლო გადაჭრის გზები. სტრუქტურა/ მეთოდოლოგია/მიდომა/ - კვლევის თეორიული საფუძვლებსა და ინფორმაციულ ბაზას შეადგენს ქართველ და უცხოელ ავტორთა მიერ ჩატარებული კვლევები, სტატიები, ინტერნეტ საიტებზე არსებული ინფორმაცია. კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ლოგიკური, შედარებით - სამართლებრივი, სოციოლოგიური მეთოდი. სტატისტიკური მეთოდი, რომლის საფუძველზეც შესწავლილ იქნა განსახილველი (ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი) დანაშაულის რაოდენობრივი, ხარისხობრივი მაჩვენებლები და განხორციელდა შედარებით - სამართლებრივი ანალიზი.

დასკვნები - შევიმუშაოთ და დავნერგოთ სისხლისსამართლებრივი დაცვის მექანიზმები, რომელიც დაკავშირებულია მსხვერპლთა ინტერესების დაცვასთან და მის უფლება-მოვალეობებთან. მოძალადის დასჯა მიზნად უნდა ისახავდეს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს დაზარალებულის (მსხვერპლის) ინტერესებს და სამართლიანობის აღდგენას.

კვლევის შეზღუდვები(ხარვეზები) გავლენა - კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს, ოჯახში ძალადობის ფაქტების გაცხადება ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მიერ. მოცემულ სამართლებრივ გარემოში მნიშვნელოვნადაა შეზღუდული ქალთა დაცვისა და მოძალადე მამაკაცთა დასჯის სამართლებრივი მექანიზმები, რაც სათანადო რეაგირებას მოითხოვს სახელმწიფოსგან.

სიახლე/ღირებულება - ოჯახში ძალადობის საკითხი აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია, რომ ოჯახში არსებული პრობლემა მხოლოდ ოჯახის წევრს არ აზიანებს და ძალადობა აუცილებლად უნდა აღიკვეთოს.

მარადისის საჯარო სკოლის სტრატეგიული ანალიზი

რიტა ბოლქვაძე
მაგისტრანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

წინამდებარე პროექტში წარმოდგენილია სსიპ-მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისის საჯარო სკოლის სტრატეგიული ანალიზი. პროექტის ფარგლებში განხილულია სკოლაზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ სკოლაზე, განხილულია სკოლის შიდა ცვლადები: მისია, ხედვა, მიზნები, სტრატეგია, ბაზრის აღწერილობა და ასევე მართვის სტილი.

ნაშრომში სკოლის საქმიანობა შედარებულია კონკურენტ ორგანიზაციასთან და ასევე განხილულია ფინეთის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა, როგორც მისაბაძი სასწავლო სისტემა აქვე მოცემულია საქართველოში არსებული ბაზრის მიმოხილვა.
ნაშრომის მიზანი იყო სკოლის სუსტი მხარეებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება.

სკოლის შესახებ მოპოვებული ინფორმაციით გამოტანილია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სკოლის შესაძლებლობების განვითარებისთვის და საფრთხეების დასაძლევად.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განვითარების სტრატეგიული გეგმა

რუსუდან ტოპეშაშვილი
მაგისტრანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული განვითარების გეგმა. განხილულია ცენტრის მისია, ხედვა, მიზნები, სტრატეგია და სტრუქტურა. ასევე, SWOT ანალიზის მიხედვით გამოვლენილია ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხრეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. PESTEL ანალიზის მიხედვით ორგანიზაციის გარე არე, გარე ზემოქმედების ფაქტორები. აქვე განხილულია მისაბაძი ორგანიზაციის ანალიზი, უცხოური ორგანიზაციიის აღწერა და ბაზრის მიმოხილვა.

კვლევის საგანს წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის შეფასება და განვითარების სტრატეგიული გეგმის დასახვა. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა დღეს ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია, ვინაიდან საზოგადოება ვერ იქნება დემოკრატიული, თუ განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები არ იქნება ფუნდამენტური და სწორად მორგებული ქვეყნისთვის.

როგორც ცენტრის ირგვლივ მოპოვებული ინფორმაცია და კვლევა აჩვენებს, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის განვითარება მდორე და მკაცრად კონტროლირებადია, ხოლო როგორც ბაზრის ანალიზი ცხადყოფს, ორგანიზაციას აქვს პოტენციალი განვითარებისა და ლიდერობის.

ყველაფერი ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ნაშრომში მოცემულია ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია და მომავალში გადასადგმელი შესაძლო ნაბიჯები იმისათვის, რომ ორგანიზაციის საქმიანობა უფრო ქმედითი და აქტიური გახდეს.

სსიპ-მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანჯიგაზლოს საჯარო სკოლის სტრატეგიული ანალიზი

მაია კვენიაშვილი
მაგისტრანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

წინამდებარე პროექტში წარმოდგენილია **სსიპ-მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანჯიგაზლოს საჯარო სკოლის სტრატეგიული ანალიზი.** პროექტში განხილულია სკოლის მისია, ხედვა, მიზნები, სტრატეგია და სტრუქტურა. ასევე, **SWOT** ანალიზის მიხედვით გამოვლენილი ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. **PESTEL** ანალიზის მიხედვით ორგანიზაციის გარე არე, გარე ზემოქმედების ფაქტორები.

ნაშრომში სკოლის საქმიანობა შედარებულია კონკურენტ ორგანიზაციათან და მოცემულია ბაზრის აღწერილობა.

მოცემულია რეკომენდაციები და დასკვნები, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სკოლის შესაძლებლობების განვითარებისთვის და საფრთხეების დასაძლევად.

განათლების ინტერნაციონალიზაციის გამოწვევები: აღმ. საქართველოში გაცვლით პროგრამებზე სტუდენტების ხელმისაწვდომობის კვლევა გენდერულ ჭრილში

ეკატერინე ბენიაშვილი
მაგისტრანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - საზღვარგარეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებული გენდერული პრობლემატიკის გამოვლენა. კვლევის ჰიპოთეზა: გენდერული სტერეოტიპები, კულტურული ასპექტები და ოჯახური ტრადიციები საქართველოში უარყოფით გავლენას ახდენს სტუდენტთა გაცვლით პროგრამებზე თანაბარ წვდომაზე (ეს პრობლემა ეხება გოგონებს, რომელთა საზღვარგარეთ „გაშვების“ საკითხს აქ ხშირად ოჯახი წყვეტს).

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - კვლევისთვის გამოყენებული იქნა თვისებრივი მეთოდები- ჩაღრმავებული ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და შინაარსის ანალიზი.

დასკვნები - გაცვლით პროგრამებში იზრდება გოგონების მონაწილეობა, ხოლო მამაკაცთა რიცხოვნობა მცირედად მატების ტენდენციას ავლენს. აღნიშნული აბსოლუტურ თანხვედრაშია ევროპაში მიმდინარე მოვლენებთან, სადაც მდედრობითი სქესის მონაწილეობამ დიდი ხანია გადააჭარბა მამაკაცთა მონაწილეობას. თუმცა, მაინც, კვლევამ გოგონების თავდაუჯერებლობასთან დაკავშირებული პრობლემა გამოავლინა. ისინი არ არიან დარწმუნებულნი, თავად გაუმკლავდებიან თუ არა უცხო ქვეყანაში დამოუკიდებელ ცხოვრებას, რაც შესაძლოა გოგონების აღზრდის ოჯახურ ტრადიციებთან იყოს დაკავშირებული. კვლევით დამტკიცდა ჰიპოთეზა: გოგონები განიცდიან შეზღუდვას ოჯახის მხრიდან: უსაფრთხოების და ტერორიზმის, უცხო გარემოში თავის გატანის უნარების არ ქონის და გოგონაზე ევროპული გამოცდილების შესაძლო ცუდი გავლენის გამო.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - კვლევა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ უსდ-ებს მოიცავს და მისი განზოგადება საქართველოს სხვა კუთხეებზე შეუძლებელია.

სიახლე/ღირებულება - მსგავსი კვლევა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არ გვხვდება. სწორედ ამიტომ არის იგი მნიშვნელოვანი, რადგან მან შესაძლოა გარკვეულწილად შეავსოს ლიტერატურაში არსებული დანაკლისი ან საფუძველი ჩაუყაროს ამ სფეროში კვლევების განხორციელებას.

ბოშათა, როგორც ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემები და გამოწვევები განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით საქართველოში

შალვა ჩიკვილაძე
მაგისტრანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ბოშათა თემი იმ ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნება, რომლებიც განსაკუთრებული მარგინალიზაციით ხასიათდებიან მთელ მსოფლიოში. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. საქართველოში მცხოვრები ბოშები მოკლებულნი არიან ჯანდაცვის, განათლების კარიერული წინსვლისა და სხვა შესაძლებლობებს.

ბოშათა მარგინალიზაციას ხელს უწყობს ისეთი სისტემური და საზოგადოებრივ-სტერეოტიპული პრობლემები, როგორიცაა მათი ცხოვრების არამკვიდრი წესი, წეს-ჩვეულებები, ადგილობრივ მოსახლოებასთან ინტეგრირების დაბალი სურვილი და მზაობა, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები, სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ყურადღება და ასე შემდეგ.

ჩამოთვლილ პრობლემათაგან ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენს ბოშათა განათლება და განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ წარმოშობილი პრობლემები.

საკითხის კვლევა და პრობლემების გამოვლენა-გადაჭრის მეთოდების შემუშავება უმნიშვნელოვანესია ქვეყნისათვის დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების დაცვისაკენ მიმავალ გზაზე.

ბოშათა განათლების და ინტეგრაციის საკითხი ჯერ-ჯერობით გადაუჭრელ პრობლემად რჩება ევროპულ მაღალგანვითარებულ საზოგადოებაშიც, სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, საქართველოს მდგომარეობის, პრობლემებისა და მიღწევების პრეზენტაცია ამ საკითხთან მიმართებაში საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ქვეყანაში დასავლური ფასეულობების - ადამიანის თავისუფლებებისა და თანასწორობის კუთხით.

DCFTA და საქართველო

ვახტანგ ჟღენტი
ბაკალავრიატი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი: DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან.

"ღრმა და ყოვლისმომცველი" ვაჭრობის სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა)

ამ თემის მიზანია გავაცნოთ აუდიტორიას DCFTA_ს არსი და მისი დიდი გავლენა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობაზე;

დასკვნები: ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება გაზრდის ქართული პროდუქტის ხარისხს და აამაღლებს სანდოობას მსოფლიო ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს ექსპორტის გაზრდას. "ასოცირების შესახებ შეთანხმების" იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა; ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებული ჯანდაცვა; ენერგოეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგორესურსების განვითარება; უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო, გამყარებული კანონის უზენაესობა, საჯარო სამსახურის გაზრდილი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა.

ღირებულება: DC FTA_ს, ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის და განვითარებისთვის. საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. „ასოცირების შესახებ შეთანხმების" იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შედეგად მიღებული კანონი ნარჩენების მართვის შესახებ

რუსუდან ჩერქეზიშვილი
ბაკალავრიატი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი ვრცელდება ნებისმიერი სახის ნარჩენზე, სამთო გადამუშავებისა და რადიოაქტიული ნარჩენების გარდა. ამ კოდექსის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორადი ნედლეულის გამოცალკევებას, ნარჩენებიდან ენერგიის აღდგენას, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას). კოდექსის ამოცანაა გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ა) ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით; ბ) ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნით; გ) რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.
სიახლე/ღირებულება - რეციკლირება ისეთი აღდგენითი ღონისძიებაა, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერგიის აღდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის გამოიყენება.
დასკვნა - საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემის გავითარება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რადგან რეციკლირების ობიექტი მოითხოვს დიდ ადამიანურ რესურსს. მნიშვნელოვანი საკითხია ტექნოლოგიური ცვლილება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გამოიწვევს. აღსანიშნავია მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობა, რაც უკეთეს შედეგს მისცემს ქვეყანას. რაც მეტი ინფორმაცია ექნება საზოგადოებას, მეტად იზრუნებს გარემოზე და ნაკლებ ზიანს მიაყენებს მას. ცნობიერების ამაღლების კამპანიები ნარჩენების მართვის სისტემის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. რაც ყველაზე მთავარია სუფთა საცოვრებელი და დასასვენებელი გარემო ხელს შეუწყობს ტურიზმის უკეთ განვითარებას ქვეყანაში.

აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

EEU.EDU.GE